

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს  
საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო  
ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდეგ - დეპარტამენტში) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და გაცემის წესს.

**მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

1. საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. ელექტრონული ფორმით მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უნდა გაიგზავნოს დეპარტამენტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და/ან ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებთან ელექტრონულ მისამართზე ([info@ajararoads.ge](mailto:info@ajararoads.ge)) ან/და დეპარტამენტის ვებგვერდზე ([www.ajararoads.ge](http://www.ajararoads.ge)).

3. ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციის მომთხოვნი ფიზიკური პირის სახელს, გვარს, პირად ნომერს, ტელეფონის ნომერს და მისამართს - საჯარო ინფორმაციის მატერილური ან კომპაქტურ დისკზე ჩაწერილი სახით მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) ინფორმაციის მომთხოვნი იურიდიული პირის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს, იურიდიულ მისამართს, ტელეფონის ნომერს, ხელმძღვანელი პირის სახელს, გვარს;

გ) მითითებას საჯარო ინფორმაციის მიღების სასურველი ფორმის შესახებ - ელექტრონული ფოსტის საშუალებით, კომპაქტურ დისკზე ჩაწერილი, მატერიალური სახით თუ დედანში გაცნობის გზით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესების დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დეპარტამენტის მიერ არ განიხილება.

**მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემა**

1. ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ელექტრონული მისამართის მეშვეობით გადის რეგისტრაციას დეპარტამენტის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში და მომთხოვნს ეგზავნება რეგისტრაციის დადასტურება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების ათვლა დაიწყება მოთხოვნის ელექტრონული ფორმით მიღებიდან (მოთხოვნის რეგისტრაციის დადასტურებიდან, სარეგისტრაციო ნომრის მითითებით) მეორე სამუშაო დღეს.

3. დეპარტამენტში შემოსული განცხადება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემის მოთხოვნის თაობაზე, რეგისტრაციისთანავე

ეგზავნება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომლის კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

4. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე გაგზავნის საშუალებით ან მისივე მოთხოვნით, ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერით. ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერისათვის, დაინტერესებულმა პირმა უნდა გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხის ოდენობა.

5. თუ მოთხოვნილი ინფორმაცია, მოცულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად, დეპარტამენტი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს მომთხოვნს და იტოვებს უფლებას, მომთხოვნის თანხმობის შემთხვევაში, განახორციელოს მისი გაცემა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.